ჯანმრთელობის დაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომიტეტის
აპარატის უფროსს
ქალბატონ **ირინა ხასაიას**

ქალბატონო ირინა,

თქვენი წერილის(№5878; 22.05.2014) პასუხად, გიგზავნით 2 ფაქტობრივ ცნობას:

1. ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ვადა და ჩვენებები
(ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე);

2. სასჯელი უკანონო აბორტის შემთხვევაში
(ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე).

დანართი: 12 ფურცელი.

პატივისცემით,

ზურაბ ტარიელაშვილი
კვლევითი დეპარტამენტის უფროსი

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
საქ. № 5960
27 05 2014 დრო. 13

შეკითხვა: ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის თაობაზე: აბორტის წარმოების გესტაციური ვადები (ორსულობის რა ვადაზეა დაშვებული პროცედურა და რა სამედიცინო თუ სოციალური და სხვა ჩვენების მითითებით, (ევროპის ქვეყნები და პოსტსაბჭოთა სივრცე)).

პასუხი:

ფაქტობრივი ცნობა

ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ვადა და ჩვენებები

(ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე)

ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით სასურველია მოხდეს ორსულობის 20 კვირამდე პერიოდში, ან თუ ორსულობის ვადა უცნობია - 400 გრამამდე წონის ნაყოფის დროს. განხილული კანონების საფუძველზე, ორსულობის შეწყვეტა ხდება ქალის სურვილით ძირითადად 12 კვირამდე პერიოდში, სამედიცინო და სოციალური ჩვენებებით 12 კვირის შემდგომ პერიოდში.

ლატვიაში ქალის სურვილით ორსულობის შეწყვეტა ხდება მე-12 კვირამდე. ქალს უტარდება სპეციალური გასაუბრება აბორტის მორალურ ასპექტებზე. გასაუბრების შემდგომ მოცდის პერიოდი შეადგენს 72 საათს[1]. ლატვიაში ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა ხდება სამედიცინო ჩვენებიდან გამომდინარე 22 კვირის განმავლობაში. ორსულობის, რომელიც დამდგარია გაუპატიურების შედეგად, შეწყვეტა ხდება 12 კვირის განმავლობაში. თუ ფეხმძიმე არის 16 წლამდე, ექიმი ვალდებულია მშობელს ან მეურვეს აცნობოს ფეხმძიმობის შესახებ. ხოლო ხელოვნურად შეწყვეტისთვის, საჭიროა მშობლის ან მეურვის წერილობითი თანხმობა. ექიმი ვალდებულია დაიცვას ნაყოფის ინტერესები, თუ რაიმე საფრთხე არ ემუქრება ქალის ან ნაყოფის ჯანმრთელობას.

ესტონეთში მოქმედებს კანონი „ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის და სტერილიზაციის შესახებ", რომლის თანახმადაც ქალის სურვილის შემთხვევაში, წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია ორსულობის შეწყვეტა 11 კვირამდე პერიოდში. 11-დან 21 კვირამდე მონაკვეთში შესაძლებელია, თუ: ორსულობა ქალის ჯანმრთელობისთვის წარმოადგენს საფრთხეს; ბავშვის დაბადების შემთხვევაში ბავშვს ექნება მძიმე ფიზიკური და ფსიქიკური დარღვევა; ორსულის დაავადებები შეუძლებელს ხდის ბავშვის აღზრდას; ორსული არ არის 15 წლის ასაკის; ორსული არის 45 წელზე მეტი ასაკის. 11-დან 21 კვირამდე ორსულობის შეწყვეტის გადაწყვეტილებას

[1] კანონი „სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ", მუხლი 25.

კვლევითი დეპარტამენტი. კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება

იღებს სპეციალური კომისია, რომელიც შედგება სამი ექიმისგან. აქედან, ორი უნდა იყოს გინეკოლოგი, ხოლო ერთი იმ დაავადების სპეციალისტი, რის გამოც კეთდება ოპერაცია.

რუსეთში აბორტი დასაშვებია ორსულობის 12 კვირიან პერიოდში ქალის სურვილისამებრ, ხოლო 22 კვირიან პერიოდში სოციალური მიზეზებით. მაგალითად, თუ ორსულობა დადგა გაუპატიურების შედეგად. ორსულობის შეწყვეტის სამედიცინო ჩვენებაა: ნაყოფის სიკვდილი, ნაყოფის არასწორი განვითარება, ან დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ნებისმიერ სიტუაციაში, გადაწყვეტილებას იღებს ქალი ან მისი ნათესავები.

უკრაინასა და აზერბაიჯანში[2] დასაშვებია ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა 12 კვირიან პერიოდში ქალის სურვილისამებრ და 22 კვირიან პერიოდში სოციალური მიზეზებით: სამი ან მეტი შვილის ყოლის შემთხვევაში, ორსულობის დროს განქორწინებისას, მეუღლის გარდაცვალებისას, ქალის ან მეუღლის პატიმრობისას, გაუპატიურების შედეგად ორსულობის დადგომისას, ქალისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევისას, უნარშეზღუდული შვილის ყოლისას, ორსულობის პერიოდში მეუღლის ინვალიდობის დადგომისას.

სომხეთში ყველა ქალს აქვს უფლება ხელოვნურად შეწყვიტოს ორსულობა. 12 კვირამდე ვადაზე ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა ხდება ქალის სურვილით, თავისი განცხადების საფუძველზე. 22 კვირამდე ვადაზე - ხდება სამედიცინო და სოციალური ჩვენებებით ქალის თანხმობით. არასრულწლოვანისთვის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა ხდება მშობლების ნებართვით, ან თუ შეუძლებელია ნებართვის მოპოვება - სამედიცინო კომისიის გადაწყვეტილებით.

ბელორუსიაში ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა ხდება ქალის სურვილით 12 კვირამდე ვადის პერიოდში. სამედიცინო ჩვენებით აბორტი დაშვებულია ორსულობის ნებირმისერ ვადაზე. სოციალური ჩვენებით ორსულობის შეწყვეტა ხდება 22 კვირამდე ვადაზე. 2013 წლის იანვრიდან სოციალური ჩვენების ჩამონათვალი დავიდა ათიდან[3] ორამდე: თუ ორსულობა დადგა გაუპატიურების გზით და თუ ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება.

უზბეკეთში ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა ხდება 9 კვირამდე ვადაზე, მე-9 კვირიდან მე-12 კვირამდე პერიოდში და 22 კვირამდე ვადაზე. 9 კვირამდე ვადის ორსულობის შეწყვეტა ხდება მედიკამენტოზურად, თუ რამე წინააღმდეგჩვენება არ არის; მე-9 კვირიდან მე-12 კვირამდე ვადაზე - ხდება, როგორც მედიკამენტოზურად,

---

[2] კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ", მუხლი 30.

[3] სოციალურ ჩვენებად ითვლებოდა: რომელიმე მეუღლის ციხეში ყოფნა, მეუღლის ინვალიდობა (I, II კატეგორია), სხვა ინვალიდი შვილის ყოლა, ქმრის გარდაცვალება ორსულობის პერიოდში, განქორწინება ორსულობის პერიოდში, რომელიმე მეუღლის უმუშევრის სტატუსის ქონა, ქალისთვის დევნილის სტატუსის მინიჭება, მრავალშვილიანობა.

ასევე ქირურგიულად; 22 კვირამდე - სამედიცინო და სოციალური[4] ჩვენებებით ქირურგიულად.

მსოფლიოს სახელმწიფოებში ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის პერიოდი

ქვეყანა	პერიოდი	კანონი	შენიშვნა
ფინეთი	16 კვირაზე ნაკლები	კანონი აბორტის შესახებ (N239, 1970 წ.)	ქალი არის 17 წელზე ნაკლები ასაკის, ან არის 40 წელზე მეტი; სამედიცინო ჩვენებაა; ქალს ყავს 3 და მეტი შვილი; ორსულობა დამდგარია გაუპატიურების გზით.
	16-დან 20 კვირა		სასიცოცხლო ჩვენებაა; ქალს აქვს ფსიქიკური დაავადება.
საფრანგეთი	12 კვირა	კანონი აბორტის პირობების შესახებ (N588, 2001 წ.)	ქალის სურვილისამებრ. **მოცდის პერიოდი 7 დღე**[5].
	12 კვირაზე მეტი		ქალის ჯანმრთელობისთვის საშიშია და არის დასაბუთება, რომ ბავშვის გაჩენის შემთხვევაში ექნება სერიოზული დაზიანებები.
იტალია	პირველი 90 დღის პერიოდში	კანონი ორსულობის ნებაყოფლობითი	სამედიცინო და სოციალური

[4] სოციალურ ჩვენებად ითვლება: ქმრის სიკვდილი ქალის ორსულობის პერიოდში, რომელიმე მეუღლის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნა, დედის უფლების ჩამორთმევა, მრავალშვილიანობა (4 და მეტი ბავშვი), განქორწინება ორსულობის პერიოდში, გაუპატიურების გზით დამდგარი ორსულობა, 17 წალმდე ასაკის მოზარდის ორსულობა, რომელიმე მეუღლის ინვალიდობა, ოჯახში ინვალიდი ბავშვის ყოლა, ნაყოფის დადასტურებული დეფექტურობა.

[5] შესაძლებელია 2 დღემდე შემცირებაც.

		შეწყვეტის შესახებ (N194, 1978)	ჩვენებებით
ლიტვა	12 კვირამდე	აბორტის შესახებ კანონი; ჯანდაცვის მინისტრის N50 ბრძანება.	ქალის წერილობითი თხოვნის საფუძველზე[6]
	12 კვირის ზევით		სამედიცინო ჩვენებით
პორტუგალია	10 კვირა	კანონი აბორტის შესახებ (N90, 2007 წ.)	ქალის სურვილით
	12 კვირა		ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გამო;
	16 კვირა		ორსულობა დამდგარია კრიმინალური ქმედების შედეგად
	24 კვირა		ქალისთვის სასიცოცხლო ჩვენებაა.
ესპანეთი	14 კვირა	კანონი აბორტის შესახებ (N2, 2010)	ქალის სურვილით
	14 კვირის ზევით		ორსულობის მთელ პერიოდში დასაშვებია ხელოვნურად შეწყვეტა, თუ არის სამედიცინო ჩვენება. 16-17 წლის ორსულთათვის საჭიროა ერთი მშობლის წერილობითი ნებართვა. მოცდის პერიოდი 3 დღეა.

[6] 16 წლამდე ორსულისთვის საჭიროა მშობლის წერილობითი ნებართვა; 16-დან 18 წლამდე ორსულისთვის - სასურველია.

მოამზადა ნინო კალანდაძემ

27.05.14

გამოყენებული წყაროები:

1. Act on Counselling and Education regarding Sex and Childbirth and on Abortion and Sterilisation Procedures, No. 25/1975, as amended by Act No. 82/1998, No. 162/2010 and No. 126/2011, http://eng.velferdarraduneyti.is/media/acrobat-enskar sidur/Act on counselling and instruction etc No 25 1975 as amended.pdf;
2. Abortion laws in Europe between 1960 and 2010;
3. ევროპის საპარლამენტთაშორისო დოკუმენტაციისა და კვლევის ცენტრის (ECPRD) მასალები;
4. ЗАКОН О ПРЕРЫВАНИИ БЕРЕМЕННОСТИ И СТЕРИЛИЗАЦИИ, http://estonia.news-city.info/docs/sistemse/dok_iegago.htm;
5. ЗАКОН РЕСПУБЛИКИ АРМЕНИЯ О РЕПРОДУКТИВНОМ ЗДОРОВЬЕ И РЕПРОДУКТИВНЫХ ПРАВАХ ЧЕЛОВЕКА, Принят 11.12.2002, http://www.parliament.am/legislation.php?sel=show&ID=1339&lang=rus;
6. В Беларуси отменили большинство социальных показаний для абортов на позднем сроке, http://www.belta.by/ru/all_news/society/V-Belarusi-otmenili-bolshinstvo-sotsialnyx-pokazanij-dlja-abortov-na-pozdnem-sroke_i_620933.html;
7. "Об утверждении стандартов искусственного прерывания беременности", http://www.med.uz/documentation/detail.php?ID=34077.

კვლევითი დეპარტამენტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება

შეკითხვა: ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის თაობაზე: უკანონო აბორტის დეფინიცია და დასჯადობა; ქვეყნები, სადაც აკრძალულია ხელოვნურად შეწყვეტა (შეწყვეტის პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში და დასჯადობა (ევროპის ქვეყნები და პოსტსაბჭოთა სივრცე)).

პასუხი:

ფაქტობრივი ცნობა

სასჯელი უკანონო აბორტის შემთხვევაში

(ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე)

უკანონო ანუ კრიმინალური აბორტი ეს არის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა სამკურნალო დაწესებულების გარეთ პირის მიერ, რომელსაც არ აქვს სათანადო უფლება და ორსულობის იმ ვადაზე, რომელსაც არ ითვალისწინებს კანონმდებლობა. ერთ-ერთი ამ ფაქტორის მოცემულობა იწვევს აბორტის კრიმინალიზაციას.

მსოფლიო კანონმდებლობაში არსებობს უკანონო აბორტის გაგების სამი მიდგომა. 1) უკანონო აბორტი ითვლება ჯერ არდაბადებული ბავშვის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად;[1] 2) უკანონო აბორტი ითვლება დედის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად;[2] 3) უკანონო აბორტი ითვლება სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად[3].

კრიმინალური აბორტის ყველაზე გავრცელებული **სახეა**: 1) უკანონო აბორტი ქალის ნებართვით. **დსთ-ს** ქვეყნებში უკანონო აბორტად ითვლება მხოლოდ ამგვარი აბორტი.[4] 2) ორსულობის შეწყვეტა ქალის ნებართვის გარეშე. ქვეყნების უმრავლესობაში, სწორედ ეს ფორმა კვალიფიცირდება კრიმინალურ აბორტად (**ბულგარეთი, უნგრეთი, გერმანია, ისლანდია, ლატვია, ნიდერლანდი, შვეიცარია, ავსტრია, ალბანეთი, ესპანეთი, ესტონეთი**, კუბა და იაპონია). 3) თვითნებითი აბორტი ან ქალის ნებართვით ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა სხვა პირის მიერ (**ავსტრია, უნგრეთი, გერმანია, ისლანდია, ესპანეთი, მალტა, სან-მარინო, ფინეთი, საფრანგეთი,**

---

[1] მაკაო, **პორტუგალია**, ერითრია, ეთიოპია, იაპონია, არგენტინა.

[2] **დსთ, უნგრეთი**, ლატვია, **ნორვეგია**, **სლოვენია**.

[3] ალჟირში აბორტი ითვლება ოჯახისა და არასრულწლოვანთა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად; **ბელგიაში**, მონღოლეთსა და **ლუქსემბურგში** - საზოგადოების მორალის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად; საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ - ვიეტნამში; **ავსტრიაში, ესპანეთში**, პერუსა და სამხრეთ კორეაში და **ირლანდიაში** - პიროვენების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად.

[4] აბორტი ქალის ნებართვის გარეშე უკვე განიხილება, როგორც ჯანმრთელობაზე განზრახ მიყენებული დაზიანება.

შვეიცარია, ესტონეთი). ამასთან, **ესტონეთის** სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელს ითვალისწინებს მხოლოდ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ნებართვის მიცემაზე და არა თვითნებით აბორტზე. რუსეთში თვითნებითი აბორტის დეკრიმინალიზაცია 1960 წელს მოხდა.

იშვიათად კრიმინალური აბორტის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა:

- აბორტის პროპაგანდა **(ბელგია, გერმანია);**
- წაქეზება **(პოლონეთი);**
- იძულება, რომლის შედეგად მოხდება ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა **(ლატვია, ტაჯიკეთი, უზბეკეთი);**
- იძულება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედებით **(ლიტვა, პოლონეთი);**
- პრეპარატებისა და ინსტრუმენტების გადაცემა ორსულისთვის **(მალტა);**

ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში აბორტი დაშვებულია.[5] სრული აკრძალვა არის მხოლოდ **მალტაში**; სასიცოცხლო ჩვენებით აბორტი დაშვებულია მხოლოდ **ირლანდიაში, ანდორაში, სან-მარინოსა და მონაკოში**; მხოლოდ სამედიცინო ჩვენებით დაშვებულია - **პოლონეთში, კიპრსა და ესპანეთში.**

***აბორტი აკრძალულია გამონაკლისის გარეშე* მალტაში.** წესრიგდება 1981 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 241-243 მუხლების მიხედვით. აბორტი 1981 წლამდე მხოლოდ გამონაკლისის წესით - ქალის სიცხოცხლის გადასარჩენად იყო დაშვებული, ხოლო 1981 წლიდან სრულიად აიკრძალა. 241-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც გამოიწვევს აბორტს ნებისმიერი საშუალებით (აბი, საკვები, ალკოჰოლი და სხვ.) ისჯება თავისუფლების აღკვეთით 18 თვიდან 3 წლამდე. 243-ე მუხლის თანახმად, ექიმი, რომელიც მიიღებს მონაწილეობას ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტაში ისჯება 19 თვიდან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

ირლანდიაში აბორტი ***აკრძალულია*** და განიხილება, როგორც დანაშაული პიროვნების მიმართ.[6] ისჯება, როგორც აბორტის შემსრულებელი, ასევე ორსული თავისუფლების აღკვეთით (მუხლი 58, 59) [2]. 1983 წლიდან მიიღეს კონსტიტუციის მე-8 შესწორება, რომლის თანახმად სახელმწიფო ცნობს თანაბრად, როგორც ჩანასახის სიცოცხლის უფლებას, ასევე ***ქალის სიცოცხლის უფლებასაც.*** ამით, შესაძლებელი გახდა, აბორტის დაშვება სასიცოცხლო ჩვენებისას.

---

[5]უნდა აღინიშნოს გაეროს ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციის „ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ" პრეამბულა, სადაც აღნიშნულია, რომ „ბავშვი საჭიროებს სამართლებრივ დაცვას ფიზიკურ და გონებრივ მომწიფებამდე, როგორც დაბადებამდე, ასევე დაბადების შემდეგ". ამასთან, აქვე 1-ელ მუხლში ნათქვამია, ბავშვი არის 18 წელს არმიღწეული ნებისმიერი ადამიანი. მსოფლიო ექიმთა ასოციაციამ ჯერ კიდევ 1948 წელს, ხოლო შემდეგ შესწორებით 1985 წელს, მიიღო გენერალურ ასამბლეაზე დეკლარაცია „სამედიცინო აბორტების შესახებ", სადაც გატარებულია ეთიკური პრინციპი, როგორიცაა „ადამიანის სიცოცხლის პატივისცემა ჩასახვის მომენტიდან".

[6] 1861 წლის „პიროვნების წინააღმდეგ მიმართული კანონის" მიხედვით.

პოლონეთში 1993 წლამდე აბორტი დაშვებული იყო სამედიცინო და სოციალური ჩვენებისას. 1993 წლის 7 იანვრის შესწორებით „ოჯახის დაგეგმვის, ადამიანის ემბრიონის დაცვისა და ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის პირობების შესახებ" კანონის მიხედვით, აბორტი დასაშვები გახდა მხოლოდ ***სამედიცინო ჩვენებით.***[7] მოცდის პერიოდი განისაზღვრა 3 დღით. არასრულწლოვანის შემთხვევაში საჭირო გახდა მშობლის ნებართვაც. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთში აბორტი აკრძალულია, ქალები, რომლებიც არალეგალურად შეწყვეტენ ორსულობას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ, ხოლო ექიმის ქმედება დასჯადია.

ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს რაც შეეხება, სრულ უმრავლესობაში **აბორტი ნებადართულია,** როგორც ქალის სურვილით, ასევე სამედიცინო და სოციალური ჩვენებებით. რაც შეეხება უკანონო აბორტს, **სომხეთში** ამ საკითხს აწესრიგებს სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლება და ეწევა უკანონო აბორტის საქმიანობას, ისჯება არა უმეტეს მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობით, ან თავისუფლების აღკვეთით 1 წლიდან 2 წლამდე, ან 3 წლამდე სამედიცინო პრაქტიკის შეწყვეტით; პირი, რომელიც ეწევა იმავე საქმიანობას და არ აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლება, ისჯება არა უმეტეს მინიმალური ხელფასის ორასმაგი ოდენობით, ან გამოსასწორებელი საქმიანობით ერთიდან სამ თვემდე, ან თავისუფლების აღკვეთით არა უმეტეს ორ წლამდე; ორსულის გარდაცვალების შემთხვევაში, პირი, რომელიც დაკავებული იყო უკანონო აბორტის საქმიანობით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არა უმეტეს ხუთი წლით.

რუსეთში უკანონო აბორტის საკითხს აწესრიგებს სისხლის სამართლის კოდექსის 123-ე მუხლი. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება მაშინ, თუ ორსულობის შეწყვეტა მოხდება ქალის ნებართვის საფუძველზე პირის მიერ, რომელსაც არ ქონდა პროფილის შესაბამისი სათანადო განათლება. სასჯელი უკანონო აბორტისთვის ეხება მხოლოდ პირს, რომელიც ამას აკეთებს და მოიცავს ჯარიმას ხელფასის 6 თვის ოდენობას, ან საზოგადოებრივ სამუშაოს 480 საათის განმავლობაში, ან გამოსასწორებელ სამუშაოებს 2 წლამდე. ორსულის ჯანმრთელობის დაზიანების ან გარდაცვალების შემთხვევაში, სასჯელი მოიცავს იძულებით სამუშაოს 5 წლამდე, ან 5 წლამდე თავისუფლების აკვეთას.

ბელორუსიაში უკანონო აბორტის საკითხებს აწესრიგებს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი. რომლის თანახმადაც, **აბორტი ითვლება უკანონოდ, თუ ის ხდება არასპეციალურ სამედიცინო დაწესებულებაში.** პირი, რომელსაც აქვს სათანადო სამედიცინო განათლება ისჯება ჯარიმით, ან ეკრძალება კონკრეტულ თანამდებობაზე

---

[7] ქალის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას ან ნაყოფს ექმნება საფრთხე; ბავშვის დაბადების შემთხვევაში ექნება სერიოზული დაავადებები. მათ შორის, გენეტიკური ან სხვა დარღვევა; ორსულობა დამდგარია გაუპატიურების ან სხვა კრიმინალური ქმედების მიზეზით.

მუშაობა ან განსაზღვრული მოღვაწეობა. ხოლო პირს, რომელსაც არ აქვს პროფილის შესაფერისი უმაღლესი სამედიცინო განათლება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე ან პატიმრობთ. თუ კონკრეტულ ქმდებას მოჰყვა ორსულის გარდაცვალება, ან ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება, მაშინ პირი ისჯება ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

აზერბაიჯანში უკანონო აბორტის საკითხები წესრიგდება სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის თანახმად. თუ უკანონო აბორტს აკეთებს სათანადო პროფილის ექიმი, მაშინ სასჯელი არის ჯარიმის სახით 200 პირობითი ერთეულის ოდენობით; ხოლო თუ აბორტს აკეთებს პირი, რომელსაც არ აქვს სათანადო განათლება, მაშინ ჯარიმაა 300 პირობითი ერთეულის ოდენობით. თუ აბორტს მოყვება ქალის გარდაცვალება ან ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება, ექიმი ისჯება ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ან ჯარიმით 300-500 პირობითი ერთეულის ოდენობით. ხოლო თუ სათანადო განათლების არმქონე პირის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად გარდაიცვლება ან დაზიანდება ორსული, მაშინ პირი ჯარიმდება 300 პირობითი ერთეულის ოდენობით, ან გამოსასწორებელი სამუშაოებით 180-200 საათით,

სასჯელი უკანონო აბორტისთვის ევროპისა და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში

ქვეყანა	**უკანონო აბორტი ქალის ნებართვით** (მაქსიმალური სასჯელი) თავისუფლების აღკვეთა	**ორსულობის შეწყვეტა ქალის ნებართვის გარეშე** (მაქსიმალური სასჯელი) თავისუფლების აღკვეთა	**თვითნებითი აბორტი ან ქალის ნებართვით ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა სხვა პირის მიერ** (მაქსიმალური სასჯელი) თავისუფლების აღკვეთა	**შენიშვნა**
ავსტრია	1 წელი	3 წელი	1 წელი	
ბელგია	1 წელი	10 წელი		
რუმინეთი	1 წელი		1 წელი	ან ჯარიმა
ალბანეთი	2 წელი	5 წელი		ან ჯარიმა
ლიტვა	2 წელი			
მოლდავეთი	2 წელი			
უნგრეთი	3 წელი	5 წელი		
გერმანია	3 წელი	5 წელი	1 წელი	ან ჯარიმა
ესპანეთი	3 წელი	8 წელი	1 წელი	
ნორვეგია	3 წელი	15 წელი		

ისლანდია	4 წელი		2 წელი	ორსულობის ადრეულ სტადიაზე
ბულგარეთი	5 წელი	8 წელი		ორსულობის ადრეულ სტადიაზე
ლუქსემბურგი	5 წელი	10 წელი		ორსულობის ადრეულ სტადიაზე
შვეიცარია	5 წელი	8 წელი		ორსულობის ადრეულ სტადიაზე
ნოდერლანდი	ჯარიმა	12 წელი		
ლატვია	ჯარიმა	15 წელი		

მოამზადა ნინო კალანდაძემ

27.05.14

გამოყენებული წყაროები:

1. CRIMINAL CODE, To amend and consolidate the Penal Laws and the Laws of Criminal Procedure, http://www.justiceservices.gov.mt/DownloadDocument.aspx?app=lom&itemid=8574&l=1;
2. OFFENCES AGAINST THE PERSON ACT 1861CHAPTER C. An Act to consolidate and amend the Statute Law of England and Ireland relating to Offences against the Person.[1] [6th August 1861.], http://www.irishstatutebook.ie/1861/en/act/pub/0100/print.html;
3. Act on Counselling and Education regarding Sex and Childbirth and on Abortion and Sterilisation Procedures, No. 25/1975, as amended by Act No. 82/1998, No. 162/2010 and No. 126/2011, http://eng.velferdarraduneyti.is/media/acrobat-enskar sidur/Act on counselling and instruction etc No 25 1975 as amended.pdf;

4. M. Levels, Abortion laws in Europe between 1960 and 2010;
5. The Criminal Code of Finland (39/1889, amendments up to 927/2012 included), http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/1889/en18890039.pdf;
6. PENAL CODE (Act No.45 of 1907), http://www.cas.go.jp/jp/seisaku/hourei/data/PC.pdf;
7. УГОЛОВНЫЙ КОДЕКС РЕСПУБЛИКИ АРМЕНИЯ, http://www.parliament.am/legislation.php?sel=show&ID=1349&lang=rus;
8. Парламентская ассамблея Совета Европы голосует за право на аборт, http://www.demoscope.ru/weekly/2008/0329/reprod01.php;
9. Access to safe and legal abortion in Europe, http://assembly.coe.int/ASP/APFeaturesManager/defaultArtSiteView.asp?ID=750;
10. Незаконное производство абортов, http://elib.bsu.by/bitstream/123456789/90021/1/petrukovich_sbornik11_tom2.pdf;
11. СОВРЕМЕННАЯ УГОЛОВНАЯ ПОЛИТИКА В ОТНОШЕНИИ АБОРТОВ, О.С. КАПИНУС, В.Н. ДОДОНОВ, http://www.durex-promo.ru/index.php?ds=1423480.